ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4809590

ნომერი: AR1721454

თარიღი : 29.11.2019

გაცემის თარიღი : 30.12.2019

გაცნობის თარიღი : 30.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N 7ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ამისულაშვილი პ/ნ 20001010959
- საქართველო, ქალაქი თბილისი, თინა იოსებიძეს ქუჩა, კორპუსი 51ბ, ბინა 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 29 ნოემბერს №AR1721454 განცხადებით მომართა გიორგი ამისულაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის

08 ივლისის №4570533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, კაიროს ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი 02/126, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.19.34.002.126), მრავალბინიანი საცხოვრებელი 2 სახლის და დამხმარე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) დაფიქსირდა სამივე შენობისთვის დამოუკიდებლად: საერთო ფართობი: „ა“ ბლოკი - 7308.40კვ.მ.; „ბ“ ბლოკი - 10681.80კვ.მ.; „ც“ ბლოკი - 56.60კვ.მ. მათ შორის: საცხოვრებელი ფართობი: „ა“ ბლოკი - 4683.90კვ.მ.; „ბ“ ბლოკი - 7273.60კვ.მ. საზაფხულო ფართობი: „ა“ ბლოკი - 833.30კვ.მ.; „ბ“ ბლოკი - 681.20კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: „ა“ ბლოკი - 1155.50კვ.მ.; „ბ“ ბლოკი - 1250.40კვ.მ. დამხმარე ფართობი: „ც“ ბლოკი - 56.60კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი: „ა“ ბლოკი - 635.7კვ.მ.; „ბ“ ბლოკი - 1476.6კვ.მ. ამავე ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 08 ივლისიდან 2022 წლის 08 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებით შეთანმხებული ფასადების ფაილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ფაილის, წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ფასადების გასწორებული ფაილით ჩანაცვლებას.

სამსახურმა შეამოწმა განმცხადებლის მიერ 2019 წლის 29 ნოემბრის №AR1721454 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი შესწორებული შენობა-ნაგებობის ფასადები და ფოტომონტაჟები და დაადგინა, რომ წარმოდგენილი ფასადები და ფოტომონტაჟები შესაბამისობაშია სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული შენობა-ნაგებობის ფასადები და ფოტომონტაჟები ჩანაცვლდეს 2019 წლის 29 ნოემბრის №AR1721454 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი შენობა-ნაგებობის ფასადებით და ფოტომონტაჟებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 08 ივლისის №4570533 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.